ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 227 (7538)

1983 წ. 29 ნოემბერი, სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

საბჭოთა ალპინიზმის 60 წლის თავი

ქვლავაც — პირველთა შორის

როგორც ჩვენს მკითხველს მოეხსენება, ამ რამდენიმე ხნის წინ საქართველოს ალპინისტური ფედერაციის თავმჯდომარედ აირჩიეს 50-იანი წლების ქართული მთამსვლური მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, ცნობილი მწერალი და მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი სარგის ცაიშვილი.

საბჭოთა და ქართული ალპინიზმის 60 წლისთავთან დაკავშირებით მას ესაუბრა „ლელოს" კორესპონდენტი.

— ჩვენში ალპინიზმის დანერგვაში რა ღვაწლი მიუძღვით ქართველ მთამსვლელებს და რა ადგილი უჭირავთ მათ საბჭოთა ალპინიზმის განვითარების თანამედროვე ეტაპზე?

— ვფიქრობ, ზედმეტია იმის მტკიცება, რომ მთამსვლელობა, როგორც ადამიანის დაუოკებელი ლტოლვა მთებისკენ, ადრევე უნდა აღმოცენებულიყო. ეს მით უფრო ითქმის მთაგორიანი ქვეყნის მცხოვრებლებზე.

ასევე ვარაუდობენ მსოფლიოს თითქმის ყველა მკვლევარ-ისტორიკოსებიც. როგორც სხვაგან, ასევე ჩვენშიც, კავკასიონზე, რასაკვირველია, ადრევე უნდა ყოფილიყო მწვერვალთა დაპყრობის ცდები. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მათს შესახებ ისტორიამ მეტად ბუნდოვანი ცნობები შემოგვინახა.

იქ, სადაც ოდითგანვე დამკვიდრდა ქართველი კაცი, მთაგორიანი რელიეფი სჭარბობდა. ბარის ქართველიც ისევე იყო შეზრდილი მთის მკაცრ ბუნებას, როგორც სვანეთისა თუ ხევსურეთის მთიელები. ბარის ქართველი ვაზის მეურნეობას მისდევდა, მაგრამ ამავე დროს მთაში დაუდიოდა საქონელი, ხოლო ძნელბედობის დროს, რაც ასე ხშირი იყო ჩვენში, სახიზრად კვლავ მთებისაკენ მიეშურებოდა, ზოგჯერ ჭირნახულიც მიჰქონდა თან და ბარში მოწეულ ყურძენს მთაში აღვინებდა (ამიტომაც აწყდებიან ხოლმე ჩვენი არქეოლოგები ღვინის დასაყენებელ ინვენტარსა და ქვევრებს საქართველოს მთიანეთის ისეთ ადგილებში, სადაც ვენახი კი არა პურიც არ ხარობს).

მთაში ცხოვრება, მასთან ყოველდღიური პრაქტიკული დამოკიდებულება ქართველ კაცს არაჩვეულებრივად უღვივებდა ალღოს, რომელსაც ალპინისტები „მთის გრძნობას" უწოდებენ. ქართველი კაცი ადვილად გადადიოდა ურთულეს უღელტეხილებზე, გაჭირვების ჟამს ეფარებოდა მიუვალ ქარაფებს, ზამთრის პირობებში თხილამურების საბიჯებით მიიკვლევდა გზას, ხოლო მტრის შემოსევების დროს მთის ნადირით ირჩენდა თავს.

ძველი მატიანეების, წერილობითი ძეგლებისა თუ მხატვრული თხზულებების ერთი თვალის გადავლებაც კი საკმარისია, რომ ნათელი გახდეს თუ როგორ იცნობდა ქართველი კაცი მთასა და ზეკარებს. ხშირი იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა მრავალრიცხოვანი ქართული ლაშქარი უნიკალურ გადასვლებს აწყობდა ერთი მთიანეთიდან მეორეში.

მემატიანე რამდენჯერმე გადმოგვცემს ვახტანგ გორგასალის ლაშქრობაზე, რომელიც მან გიგანტური კავკასიონის გადაღმა გადაიხადა. იქნებ სწორედ ეს ამბებია ასახული ქართული ფოლკლორის ყველასთვის ცნობილ შედევრში: „ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა, ციდან შემოესმა რეკა, იალბუზზე ფეხი შედგა, დიდმა მთებმა იწყეს დრეკა". ასევე დავით აღმაშენებლის ბრწყინვალე ლაშქრობებთან ერთად (რად ღირს მარტო დიდგორის ომის მოგება) საქართველოს ისტორია იცნობს არაერთ შესანიშნავ სამთო ოპერაციას, რომლებიც სპეციალური შესწავლის ღირსია.

უფრო ახლო დროიდან კი არის პირდაპირი მინიშნება, რომ, მაგალითად, ერეკლე მეფის დროს ვინმე იოსებ მოხევე მარტო ასულა მყინვარწვერზე, რაც დადასტურებულია კიდეც იოანე ბაგრატიონის დიდებულ წიგნში „კალმასობა". ქართლში ბრუტსაბძელას წვერზე (რომელსაც ადგილობრივი მკვიდრნი იალბუზსაც ეძახიან) ნაპოვნია ადამიანის იქ ყოფნის ძალზე ადრეული კვალი და ა. შ.

მაგრამ მაინც უნდა გვახსოვდეს, ალპინიზმი, როგორც სპორტულ-ორგანიზაციული ფორმა, ახალი საუკუნეების პირმშოა და სპორტული მოძრაობის აღორძინებასთანაა დაკავშირებული.

მართლაც, როგორც აღიარებულია, სპორტული ალპინიზმის ათვლა მსოფლიოში 1786 წლიდან იწყება, როცა ალპების უმაღლეს მწვერვალზე მონბლანზე (4810 მეტრი) მოეწყო გამიზნული ექსპედიცია. მწვერვალზე ავიდნენ ადგილობრივი მცხოვრები ჟაკ-ბალი და ექიმი პიკარი (სხვათა შორის ტერმინიც „ალპინიზმი", რომელიც ისტორიულიცაა და ზუსტად გამოხატავს საქმის ვითარებას, სწორედ აქედან იღებს სათავეს).

საბჭოთა ალპინიზმი კი, როგორც ცნობილია, კავკასიონის პირმშოა, ხოლო ამ დიდი მოძრაობის პიონერებად სწორედ ქართველი ალპინისტები მოგვევლინენ.

მე აქ მხედველობაში მაქვს პირველი ასვლები მყინვარწვერზე 1923 წელს. პირველმა ექსპედიციამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ჩვენი გამოჩენილი მეცნიერი და ქართული სპორტის განვითარების დიდი მოამაგე გიორგი ნიკოლაძე, 28 აგვისტოს მიაღწია მწვერვალს (ამ ასვლაში დიდი წვლილი შეიტანა აგრეთვე ამ დროისათვის უკვე ცნობილმა მეგზურმა, შემდეგ კი აღიარებულმა ალპინისტმა მოხევე იაგორა კაზალიკაშვილმა). რამდენიმე დღის შემდეგ კი (3 სექტემბერს) ოდნავ სხვა მარშრუტით მწვერვალი დაიპყრო სამეცნიერო ექსპედიციამ პროფესორ ალექსანდრე დიდებულიძის ხელმძღვანელობით. აქვე შევნიშნავ, რომ ამ მეორე ექსპედიციაში მონაწილეობდა ერთადერთი ქალი — ალექსანდრა ჯაფარიძე, რომელმაც შემდეგში დიდი სახელი მოიხვეჭა ალპინისტურ ასპარეზზე.

პირველ ქართულ ასვლასთან დაკავშირებით აქ მინდა აღვნიშნო შემდეგი გარემოებაც. უკვე ამ პირველსავე ლაშქრობაში ჩანდა ის ძირითადი ნიშნები, რაც ასე მკვეთრად გამოარჩევს საბჭოთა ალპინიზმს მსოფლიო მასშტაბით. ჯგუფი წარმოადგენდა ორგანიზებულ, ერთიან კოლექტივს და შედგებოდა 18 მონაწილისაგან, რაც იმდროოსათვის მასობრივი ასვლის უმაგალითო შემთხვევა იყო.

ყურადღებას იქცევდა ის გარემოებაც, რომ მწვერვალზე ამსვლელთა შორის იყო ხუთი ქალი (არ იქნებოდა ურიგო აქ კიდევ ერთხელ გაგვეხსენებინა ჩვენი მშვენიერი დების, როგორც მათ უწოდებდნენ მაშინ ექსპედიციის წევრები, სახელები: ლიდუსი ჩხეიძე, ელიკო ლორთქიფანიძე, მარო ბექანიშვილი, ასმათ ნიკოლაიშვილი და მარო ტყავაძე).

ქართული ალპინიზმის ისტორიისათვის ნიშანდობლივია ერთი გარემოებაც. მის სათავეებთან იდგნენ სახელოვანი ქართველი მეცნი-

(დასასრული მე-2-მე-3 გვ.).

მოვლენათა ქრონიკა

1973-1983 წ. წ.

თბილისი, 1973 წელი. ეს თარიღი განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩვენი მთამსვლელობის მატიანეში. ამ წელს საქართველოს დედაქალაქი, პირველად სსრ კავშირის ისტორიაში, მასპინძლობდა მთამსვლელთა ასოციაციების საერთაშორისო კავშირის (უიაა) გენერალურ ასამბლეას. თბილისმა იმავე დღეებში უმასპინძლა სსრ კავშირის ალპინიზმის ფედერაციის საიუბილეო პლენუმს. საქართველოს დედაქალაქში მრავალმა საბჭოთა და უცხოელმა მთამსვლელმა, სპეციალისტმა თუ ჟურნალისტმა მოიყარა თავი.

— რა იცით ქართველი მთამსვლელების შესახებ? — ამ კითხვით არაერთ სტუმარს მივმართეთ.

— ქართველ მთამსვლელებზე მხოლოდ წამიკითხავს და გამიგონია მათგან, ვისაც თქვენი ბიჭები ჩვენში, შვეიცარიის ალპებში უნახავს, აგრეთვე ჩემი თანამემამულეებისაგან, ვისაც კავკასიონის მწვერვალები დაულაშქრავს. ისინი ქართველ მთამსვლელებს შესანიშნავად ახასიათებენ, — გვითხრა უიაა-ს პრეზიდენტმა, პროფესორმა ჟან ჟუჟმა (შვეიცარია) და კიდევ ბევრმა უცხოელმა მთამსვლელმა.

მათი პასუხები აღიარება იყო საქართველოს და საერთოდ სსრ კავშირის ალპინისტთა მაღალი ავტორიტეტისა, რომელიც კიდევ ამაღლდა საბჭოთა მთამსვლელობის ისტორიის ბოლო ათწლეულში.

ამ ათწლეულის პირველსავე ჩემპიონატში, სამწლიანი უმედლო სეზონის შემდეგ, კვლავ გაგვახარეს საქართველოს მთამსვლელთა გუნდებმა.

საქართველოს ალპური კლუბის გუნდმა, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ ა. აბაშიძე, გ. ახვლედიანი, ს. ბარლიანი, ა. გავაშელი, შ. გაბისიანი, დ. დანგაძე (ასვლის ხელმძღვანელი), ტ. ლუკაშვილი, შ. მირიანაშვილი (ექსპედიციის ხელმძღვანელი) და ო. ხაზარაძე, პამირში კორჟენევსკაიას პიკი დალაშქრა და სასიმაღლო ასვლების კლასში ბრინჯაოს მედლები მოიპოვა.

იმავე დროს სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონი გ. წერედიანი ახალგაზრდა მთამსვლელებს გ. გუგავას, ზ. მუშკუდიანს, ნ. ნიგურიანს და ვ. რატიანს სათავეში ჩაუდგა და მშობლიური კავკასიონის მთებს შეეჭიდა. ისინი „განთიადის" სახელით გა-

(დასასრული მე-2-მე-3 გვ.).

● კალათბურთი



გრძელ ტურნირებს ანგარიში უყვარს

თქმა არ უნდა, ნებისმიერი გამარჯვება, კალათში ჩაგდებული ნებისმიერი ბურთიც კი თვალსაც ახარებს და გულსაც, მაგრამ გუნდის ძალა მაინც ჩემპიონატში თუ სხვა რომელიმე ტურნირში დაკავებული ადგილით იზომება. ყველას ავიწყდება აქა-იქ ნათამაშევი ლამაზი მატჩები, როცა გუნდი ცხრილის ბოლოში მოექცევა ხოლმე და პირიქით — ტურნირში დაკავებული კარგი ადგილი, კარგი თამაშისვე უტყუარი საბუთია.

ამ უბრალო ჭეშმარიტების გამეორება მხოლოდ იმიტომ დამჭირდა, რომ თავისი სახელი მოვუძებნო ზოგიერთი მაყურებლისა თუ კალათბურთის ქომაგის დამოკიდებულებას იმ ცალკეული, ძალზე კარგად ან ძალზე ცუდად ნათამაშევი მატჩებისადმი.

სატურნირო ბრძოლას თავისი კანონები აქვს. ერთ ეფექტურ გამარჯვებასა და სამ მარცხს ნამდვილად ჯობს ორი სადად, მცირე უპირატესობით მოგებული მატჩი. ამ თვალსაზრისით საქმეში გარკვეული ქომაგისთვის გული არ უნდა ეტკინა მოსკოვის ტურის უკანასკნელ შეხვედრაში განცდილ მარცხს „სტატიბასთან" ანდა გამანადგურებელი ანგარიშით დამარცხებას თბილისში ფინალური ტურნირის პირველივე მატჩში „ჟალგირისთან".

გრძელ ტურნირებს ანგარიში უყვარს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი ეს არითმეტიკა ასეთია: „სტატიბასთან" გამარჯვება „დინამოს" არაფერს აძლევდა, „ჟალგირისთან" კი ფარ-ხმალის ნაადრევი დაყრა და შედეგად მეტად უსიამო 50-ქულიანი მარცხი, ვფიქრობ, სწორი არჩევანი იყო. დიდი რაოდენობის ფიზიკური და ნერვული ენერგიის გაღებით სავსებით შესაძლებელია, ის მატჩი 3-4 ქულის სხვაობით წაგვეგო, ან სულაც მოგვეგო. სანაცვლოდ, ასევე სავსებით შესაძლებელია წაგვეგო შემდეგი მატჩი „სტროიტელთან". თითქოს ქულა-ქულად რჩება, მაგრამ სატურნირო ტაქტიკის თვალსაზრისით თბილისის „დინამოს" „სტროიტელთან" მოპოვებული ქულა უფრო აძლევს ხელს, რადგან სწორედ კიეველი კალათბურთელები არიან ჩვენი უშუალო მეტოქენი III-IV ადგილებისათვის ბრძოლაში. თბილისის „დინამოს" მწვრთნელების სტრატეგია სწორია და საერთოდ, გუნდის პირველ ექვსეულში გაყვანით მათ

(დასასრული მე-4 გვ.).

საბჭოთა ალპინიზმის სახელოვანი 60 წელი

კვლავაც — პირველთა შორის

დასასრული

ერები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები. მათ წინასწარვე ღრმად ჰქონდათ გააზრებული ალპინიზმის, როგორც მაღალი სპორტულ-კულტურული მოძრაობის პერსპექტივები ისეთი ბუნებრივი მონაცემების მქონე ქვეყანაში, როგორიცაა საქართველო, დრომ, განვლილმა 60 წელმა ბრწყინვალედ დაადასტურა მათი კეთილშობილური ჩანაფიქრი.

მართლაც, ერთია იყო რომელიმე დიდი საქმის თაოსანი და მეორე — ასევე სახელოვნად აგრძელებდე ერთხელვე წამოწყებულ მოღვაწეობას. ქართველი ალპინისტების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი შემდეგშიაც არაერთგზის მოგვევლინენ როგორც ეტაპური მნიშვნელობის გამარჯვებათა ავტორები.

მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ მაინც მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო გამარჯვებები, რომლებიც ოცდაათიან-ორმოციან წლებში დაკავშირებული იყო ა. ჯაფარიძის სახელთან (უშბაზე პირველი ასვლა 1934 წელს, ცენტრალური კავკასიონის დიდი ტრავერსი 1940 წელს), უშბა-შხელდის ერთობლივი ტრავერსი 1950 წელს (კაკო მარი, ბექნუ ხერგიანი, ჩიჩიკო ჩართოლანი, გოჯი ზურებიანი და მაქსიმე გვარლიანი).

რაც შეეხება მომდევნო ათწლეულებს, იგი ქართული ალპინიზმის მიღწევათა მთელი კასკადია. ეს მით უფრო ნათელი შეიქნა, როცა ჩვენში შემოიღეს სპეციალური ხასიათის კონკურსები. რამდენიმე ათეულ მეორე და მესამე ადგილის მოპოვებას თავი რომ დავანებოთ, საკმარისი იქნება უბრალოდ იმის აღნიშვნაც, რომ ამ წლების მანძილზე ქართველმა მთამსვლელებმა ათჯერ მოიპოვეს პირველი ადგილი ალპინიზმის სხვადასხვა კლასში და ათეულობით დაიმსახურეს უმაღლესი სპორტული ჯილდო — ოქროს მედლები. და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ისინი დიდი ხანია გასცდნენ კავკასიონის ასპარეზს და ასე წარმატებით მოღვაწეობენ პამირისა თუ ტიან-შანის გიგანტურ მთიანეთში.

ქართული ალპინიზმი დღეს როგორც ტაქტიკურად ისე ტექნიკურად თვისობრივად ახალ, პროფესიულად თანამედროვე მსოფლიო სტანდარტების დონეზე დგას. ასეთი გამარჯვებებიც ყოველივე ამის ბუნებრივი შედეგია. მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ამ გამარჯვებათა ავტორები არიან როგორც შუახნის, ისე სრულიად ახალგაზრდა მთამსვლელები, რომლებიც ამშვენებენ დღეს არამარტო ქართულ, არამედ მთელ საბჭოთა ალპინისტურ მოძრაობას.

მათი სახელების ჩამოთვლა აქ ძალიან გამიჭირდება, თუმცა იქნებ არც იყოს საჭირო, რადგან მათ კარგად იცნობენ ჩვენი ალპინიზმის მოყვარულები. ოღონდ ბოლო წლებიდან დავასახელებ მათ, ვინც დღეს, სამწუხაროდ, ჩვენს შორის აღარ არიან: მიხეილ ხერგიანი, ჯუმბერ მეძმარიაშვილი, ილია გაბლიანი, თეიმურაზ კუხიანიძე, გურამ თიკანაძე, სერგო ბარლიანი.. მათ ხსოვნას დიდი პატივით ინახავს და შეინახავს მომავალშიც მთელი ქართული მთამსვლური საზოგადოებრიობა.

— ეს მიღწევები, რომლებიც თქვენი საუბრიდანაც კარგად ჩანდა, მართლაც, შთამბეჭდავია, მაგრამ ხომ ვერ გვეტყოდით ორიოდე სიტყვას დღევანდელ ვითარებაზე ან ნაკლოვანებებზე, რომლებიც აფერხებენ ჩვენში ალპინიზმის განვითარებას?

— თქვენი ასეთი კითხვა სრულიად სამართლიანია, რადგან მოვლენათა ობიექტური ანალიზის გარეშე, საეჭვოა, რომ ჩვენ არ ავცდეთ მომავლისაკენ მიმართულ მთავარ ორიენტირს.

ამ საკითხებზე ჩვენ ალბათ კვლავაც გვექნება საქმიანი საუბარი, ოღონდ აქ მაინც შევნიშნავ შემდეგს: პირველ რიგში მე აქ მინდა აღვნიშნო, და ეს, რასაკვირველია, მარტო ჩემი აზრი არ არის, ერთგვარი ცალმხრივობა, რაც აშკარად შეინიშნება ზემოთაღნიშნულ გამარჯვებათა ფონზე. ალპინიზმი შეიძლება ამ შემთხვევაში არც იყოს გამონაკლისი. მაღალ სპორტულ მიღწევათა გამოვლენებისას ზოგჯერ აღმოცენდება ხოლმე ერთგვარი ვაკუუმი. გვავიწყდება ზრუნვა ჩვენს ხვალინდელ დღეზე, ახალგაზრდობაზე, საერთოდ რეზერვზე, და უცებ... აღმოჩნდება, რომ ჩვენ არ გაგვიზრდია ღირსეული ცვლა, რომელიც შეავსებს ასპარეზიდან გასულ სპორტსმენებს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ თაობათა ცვლის ეს მტკივნეული პროცესი აშკარად შეიმჩნევა ქართულ ალპინიზმშიც და იგი დიდ ზიანს მოუტანს — მას, თუ დროზე არ იქნა მიღებული სათანადო ზომები.

საიუბილეო დღეებში შეიძლება უხერხულიც იყოს ამაზე საუბარი, მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ ალპინიზმის 60 წლისთავი არა მხოლოდ მიღწეულ წარმატებათა შეჯამებაა, არამედ, როგორც ეს ჩვენს თანამედროვეობას შეჰფერის, არ უნდა დავხუჭოთ თვალი ზოგიერთ აშკარა ხარვეზზე, რომლებიც უეჭველად გვაქვს და რომელთა გამოსწორება ყველა ჩვენგანის ვალია. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს ჩამორჩენით მასობრივი ალპინიზმის დანერგვაში და ეს მაშინ, როცა ათასობით ახალგაზრდა ნატრობს, რათა შეუერთდეს ალპინისტური მოძრაობის რიგებს.

ტოტალურ გადახალისებას მოითხოვს ქართული ალპინიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დღევანდელი ვითარება, რაც პირველ რიგში თვით ალპინიზმის დღევანდელ მესვეურთა, მეტი რომ არ ვთქვათ, ორგანიზაციული დაუდევრობის მიზეზითაა გამოწვეული.

ჩვენ გვაქვს ალპინისტური კლუბი სათანადო მატერიალური ბაზით, დიდი ხანია რაც მუშაობს ალპინისტური ფედერაცია, მაგრამ, როგორც ჩანს, სერიოზული დახვეწა სჭირდება მომავალში ჩვენი მუშაობის ფორმებს, საჭიროა კონტაქტების გაფართოება პროფკავშირების სათანადო დარგებთან, სპორტულ საზოგადოებებსა და უმაღლესი სწავლების დაწესებულებებთან და ა. შ. მხოლოდ ამ და სხვა ნაკლოვანებათა დაძლევის გზით არის ალბათ შესაძლებელი საიმედო მომავალზე ფიქრი.

— რა ნაბიჯებია გადადგმული ამ მიმართულებით, ან როგორ გესახებათ ქართული ალპინიზმის ხვალინდელი დღე?

— როგორც სასიამოვნო ფაქტი, მინდა აღვნიშნო, რომ უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ჩვენს რესპუბლიკაში სპორტის და მათ შორის ალპინიზმის შემდგომი განვითარების საკითხებს. სულ ახლახან შედგა პრინციპული საუბარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში და დასახულია ძალზე მნიშვნელოვანი ღონისძიებები აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. აღინიშნა ისიც, რომ საჭიროა მეტი ძალისხმევა მასობრივი ალპინიზმის განვითარებისა და ალპინიზმის, როგორც ახალგაზრდობის აღზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმის, შემდგომი პოპულარიზაციის საქმეში.

საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის ხელმძღვანელობამ საქართველოს ალპინისტთა ფედერაციასთან ერთად გადადგა კიდეც რეალური ნაბიჯები, რათა ქართულმა ალპინიზმმა ჩვენი რესპუბლიკის დღევანდელი აღმავლობის გზაზე შეასრულოს ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდის მაღალი მისია. მართლაც, სამუშაო ძალზე დიდია, პერსპექტივები საგულისხმო და მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ის, ვისაც პრაქტიკულად ევალება ყოველდღიური ზრუნვა ამ მიმართულებით, ძალასა და ცოდნას არ დაიშურებს, რათა ქართული ალპინიზმი კვლავაც იდგეს პირველთა შორის ჩვენი დიადი ქვეყნის ალპინისტური მოძრაობის ფართო სარბიელზე.

ინტერვიუ მიჰყავდა
უ. ჭიჭინაძეს.

ისინი პიონერები იყვნენ

ერთხელ კიდევ გვინდა გავიხსენოთ ჩვენში ალპინიზმის ჩასახვა-განვითარების პიონერები, რომელთაც თავიანთი ასვლებით მიმართულება და გეზი მისცეს ქართულ და არა მარტო ქართულ მთამსვლელობას...

• • •

ალპინიზმისადმი სიყვარული გ. ნიკოლაძეს ბავშვობიდანვე ჩაესახა, როდესაც მისი ოჯახი ჯერ კიდევ შვეიცარიაში იმყოფებოდა. აქ 13 წლის ყმაწვილი თავის დებთან ერთად ალპების ადვილად მისასვლელ მწვერვალებს იპყრობდა. მას შემდეგ მთებისადმი სიყვარული და მათდამი ლტოლვა მრავალი წლის მანძილზე სდევდა თან გ. ნიკოლაძეს. მთებთან იყო დაკავშირებული საქართველოს მთიანეთის შესწავლა და მისი ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენება ხალხისათვის. მას აწუხებდა იმაზე ფიქრი, რომ მის მშობლიურ მთებზე უცხოელთა ბარათები იყო დატოვებული. ამ დროისათვის ინგლისელ მკვლევარსა და გამოჩენილ მთამსვლელს დუგლას ფრეშფილდს გამოცემული ჰქონდა კავკასიონის კვლევის ორტომეული, რომელიც მთების შესწავლის საქმის შედევრად ითვლებოდა. შემდგომ გ. ნიკოლაძეს ამ შესანიშნავ მეცნიერ-მთამსვლელთან საინტერესო მიმოწერა ჰქონდა. თავის წიგნში დ. ფრეშფილდმა აღწერა მყინვარწვერზე, იალბუზზე, თეთნულდზე და კავკასიონის სხვა მწვერვალებზე ასვლა, რომელიც მან თავის თანამგზავრებთან ერთად განახორციელა (მის მიერ შედგენილი კავკასიონის რუკა მწვერვალებით, მყინვარებით და უღელტეხილებით მოგზაურთათვის დღესაც ძალზე საინტერესოა). იმ დროისათვის გ. ნიკოლაძისათვის ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი, რომ მყინვარწვერზე და იალბუზზე პირველად ფეხი უცხოელებმა კი არა, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მოვდელმა იოსებ მოხევემ და ქილარ ხაშიროვმა დადგეს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მასობრივი სპორტული ღონისძიებები უფრო ორგანიზებულად და აქტიურად ეწყობა.

1923 წლის აგვისტოში გ. ნიკოლაძე სპორტულ ჯგუფთან ერთად, რომლის უმრავლესობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობა იყო, სავარჯიშო ასვლას აწყობს დაბა ყაზბეგიდან ყუროს ქედზე. მწვერვალ შინოზე, ხოლო ამის შემდეგ დევდორაკის ყინვარით ადის კავკასიონის ერთ-ერთ ულამაზეს მწვერვალ მყინვარწვერზე. გ. ნიკოლაძის ჯგუფს წინ მიუძღოდა ყაზბეგელი გამყოლი, გამოჩენილი მთამსვლელი იაგორ კაზალიკაშვილი.

გ. ნიკოლაძის ჯგუფში 18 კაცი მონაწილეობდა. აქედან ხუთი ქალი: ასმათ ნიკოლაიშვილი, მარო ტყავაძე, ელიკო ლორთქიფანიძე, მარო ბექანიშვილი და ლიდუსი ჩხეიძე, რომლებიც მყინვარწვერის დაპყრობის შემდეგ კვლავაც განაგრძობდნენ გ. ნიკოლაძის ლაშქრობებში მონაწილეობას. რამდენიმე დღის შემდეგ მყინვარწვერი დაიპყრო საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის ექსპედიციამ, რომელსაც ობსერვატორიის დირექტორი პროფესორი ალექსანდრე დიდებულიძე ხელმძღვანელობდა.

ალექსანდრე დიდებულიძის ექსპედიციას დიდი მეცნიერული მიზნები ჰქონდა. ს. ასლანიშვილის გადმოცემით, რომელიც ამ ექსპედიციის აქტიური მონაწილე და ექიმი იყო, მყინვარწვერიდან ჩამოსვლის შემდეგ პროფ. ა. დიდებულიძის თხოვნით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა მეცნიერთა კომისია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს პროფესორებმა ივანე ჯავახიშვილმა, ალექსანდრე ჯავახიშვილმა და აკაკი შანიძემ, ხოლო ექსპედიციის შემადგენლობიდან — პროფ. ა. დიდებულიძემ, ასისტენტებმა გიორგი ქავთარაძემ, სერგო ცხაკაიამ და მე. კომისია დაეთანხმა ჩვენს მიერ წამოყენებულ მოსაზრებას მყინვარწვერის შესახებ და აგრეთვე ახალ სახელწოდებათა შესახებაც, რომელნიც ექსპედიციის წევრების გ. ქავთარაძისა და ს. ცხაკაიას მიერ შედგენილ ახალ რუკაში უკვე შესწორებული სახითაა შეტანილი. სახელწოდება „მყინვარწვერი" საყოველთაოდაა მიღებული, ვინაიდან იგი გამოხატავს სინამდვილეს და ხალხიც მას ხმარობს. მყინვარწვერზე სწორედ ეს ორი მასობრივი ასვლა ითვლება საბჭოთა კავშირში მთამსვლელობის საწყისად. ამ ორმა ექსპედიციამ განსაზღვრა ჩვენი მთამსვლელობის ხასიათი.

1924 წელს დაარსდა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება, მისი შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი გ. ნიკოლაძე იყო. იგი მთელი მონდომებითა და ხალისით ჩაუდგა სათავეში საზოგადოების მთასვლა-მგზავრობის განყოფილებას.

საზოგადოების ჟურნალის პირველსავე ნომერში დაიბეჭდა ვრცელი წერილი მყინვარწვერზე ასვლის შესახებ. გ. ნიკოლაძე ოცნებობს იალბუზისა და სხვა მწვერვალების დაპყრობაზე. წინასწარ ატარებს ძალზე საინტერესო სამთო-სავარჯიშო ლაშქრობას მარშრუტით: იმერეთი—სამხრეთ ოსეთი — ჩრდილო ოსეთი—მამისონის უღელტეხილი—რაჭა. ამ ლაშქრობის შესახებ მრავალი საინტერესო დღიურია დარჩენილი.

1925 წლის აგვისტოში გ. ნიკოლაძის ჯგუფი თითქმის იგივე შემადგენლობით ესტუმრა კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ ფერდობს— ბალყარეთს. ექსპედიციას თან ახლდნენ ყაზბეგელი გამყოლები —ი. კაზალიკაშვილი და გ. წიკლაური, რომლებიც პირველად ადიოდნენ უცნობ მწვერვალზე. იალბუზზე ასვლისას რთულმა მეტეოროლოგიურმა პირობებმა ჯგუფი აიძულა ხუთი დღე გაეტარებინა 4200 მ სიმაღლეზე „თერთმეტის თავშესაფარში". მთამსვლელთა ჯგუფმა 12 აგვისტოს დაიპყრო იალბუზის დასავლეთი მწვერვალი. 2 წლის შემდეგ გამოჩენილი მთამსვლელი სიმონ ჯაფარიძე, დევი და შოთა მიქელაძეები იპყრობენ იალბუზის აღმოსავლეთ მწვერვალს. ამ ორი პირველი საბჭოთა ასვლით საფუძველი ეყრება იალბუზზე მასობრივ ასვლებს. გ. ნიკოლაძე ამით არ კმაყოფილდება. მისი მიზანი ამჟამად კიდევ წინ არის. აი, რას წერს იგი: „იალბუზზე არა ნაკლებ გვიზიდავდა საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი და უმშვენიერესი კუთხე — სვანეთი. კავკასიონის კალთებში ჩაფლული, მიუვალი ყინვარებით, მთებით და ტყეებით გარშემორტყმული, ღრმა ხეობებით დასერილი სვანეთი, რომელსაც დუგლას ფრეშფილდმა მთამსვლელობის სამოთხე დაარქვა".

იალბუზიდან ჩამოსვლის შემდეგ მონაწილენი ნაკრას (დონღუზორუნის) უღელტეხილით გადავიდნენ ზემო სვანეთში, სადაც ექსპედიციის წევრებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს. დღეს მთამსვლელთა მუზეუმში დაცულია იმდროინდელი დღიურები, ბოტანიკური თუ ეთნოგრაფიული ჩანაწერები, გ. ნიკოლაძის მიერ გადაღებული ფოტოსურათები.

გ. ნიკოლაძე სვანეთში დაკვირვებებს აწარმოებდა თეთნულდისა და უშბის მისასვლელებზე (საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა კინოარქივმა შემოგვინახა შესანიშნავი ფილმი — 1925 წელს გ. ნიკოლაძის ექსპედიცია სვანეთში, რაც, უდავოდ, ძალზე საინტერესო დოკუმენტია).

1926-1928 წლებში საზღვარგარეთ მივლინებაში ყოფნის დროს გ. ნიკოლაძემ ლონდონის გეოგრაფიულ საზოგადოებაში გააკეთა მოხსენება იალბუზ-სვანეთში თავისი მოგზაურობის შესახებ. ამ სხდომის საპატიო სტუმარი იყო 80 წლის დ. ფრეშფილდი, რომელიც სპეციალურად ჩამოვიდა ქართველი მეცნიერის გ. ნიკოლაძის მოხსენების მოსასმენად. მაღალი შეფასება მისცა გ. ნიკოლაძესთან შეხვედრას ინგლისის გეოგრაფიული საზოგადოების მდივანმა ა. ხინკსმა. ინგლისის გეოგრაფიული საზოგადოების 1927 წლის ჟურნალში დიდი ადგილი დაეთმო ექსპედიციას იალბუზზე.

თბილისში დაბრუნებისას გ. ნიკოლაძე კვლავ მისთვის ჩვეული მონდომებით ემზადება თეთნულდზე ასვლისათვის, მაგრამ ეს ასვლა, რომელშიც მასთან ერთად მონაწილეობდნენ მისი მეგობრები სიმონ ჯაფარიძე და პიმენ დვალი, ტრაგიკულად დამთავრდა. ეს იყო პირველი მარცხი, რომელიც საბჭოთა მთამსვლელობამ განიცადა. ამიერიდან თეთნულდი იქცა მეგობრობისა და თავდადების სიმბოლოდ. ეს იყო უდიდესი ტრავმა, რომელიც გ. ნიკოლაძემ განიცადა მამის დაკარგვის შემდეგ. მის დღიურებში ნათლად ჩანს ეს სასოწარკვეთილების წუთები „პიმენი, სიმონი, ორი წერაყინი და დროშა ყველაფერი ყინვარის ძირში წავიდა, მარცხნივ გადაუხვიეს და მხედველობიდან გაქრნენ. უცებ ყოველგვარი ხმაურობა შეწყდა და დავრჩი მარტო იმ ყინულის სიკვდილის სამეფოში". თეთნულდზე შერის საძიებლად 1930 წელს სიმონის და-ძმა ალექსანდრა და ალიოშა ჯაფარიძეები ჩადიან სვანეთში. მათთან ერთად არიან ყაზბეგელი ი. კაზალიკაშვილი და სვანი ა. ავალიანი. ჯგუფმა ორჯერ ზედიზედ დაიპყრო თეთნულდი. თეთნულდის ტრაგედიის შემდეგ მთებისადმი ინტერესი ჩვენში საოცრად გაიზარდა. სიმონი მისმა ძმამ, ალიოშამ, შეცვალა: იგი იყო მრავალი რთული ასვლის ორგანიზატორი, რომელმაც დიდი ავტორიტეტი და სახელი მოიხვეჭა საბჭოთა ალპინიზმში.

1930-1931 წლებში გ. ნიკოლაძის ხელშეწყობით და ხელმძღვანელობით შესანიშნავ ექსპედიციებს აწყობენ ცენტრალურ კავკასიონზე მისი აღზრდილები და მეგობრები: ა. ნიკოლაიშვილი, დ. და შ. მიქელაძეები, გ. გიორგაძე და სხვ. გ. ნიკოლაძეს მიაჩნდა, რომ საქართველოში, როგორც მთიან ქვეყანაში, უნდა განვითარებულიყო სამთო-სათხილამურო სპორტის, ამისათვის კი საჭირო იყო ბაზის შექმნა და აშენება. ამ მიზნით იგი ზამთრის გასვლებს აწყობს ბაკურიანისა და ცხისჯვრის მიდამოებში. საბოლოოდ სათხილამურო სადგურის ასაშენებელ ადგილად გ. ნიკოლაძემ ბაკურიანი აირჩია.

პირველი ნაბიჯები, რომლებიც ასე მტკიცედ გადადგეს ჩვენმა სახელოვანმა მთამსვლელებმა, დიდმა პატრიოტებმა, მეცნიერებმა და მოქალაქეებმა, ფეხბედნიერი აღმოჩნდა: ამ ნაბიჯებს მოჰყვა მრავალი გამარჯვების მომტანი საამაყო ასვლა დედამიწის ყველაზე რთულ და მაღალ მწვერვალებზე.

დინარა გოზალიშვილი.





მოვლენათა ქრონიკა

1973-1983 წ. წ.

დასასრული

მოდიოდნენ და განახორციელეს ძალზე გრძელი ტრავერსი შავი უცნობიდან თეთნულდამდე, რისთვისაც საკავშირო ჩემპიონატში ვერცხლის მედლები დაიმსახურეს.

აი, ასეთი მიღწევებით აღნიშნეს საქართველოს მთამსვლელებმა საბჭოთა ალპინიზმის 50 წლისთავი. ეს მით უფრო სასიხარულო იყო, რომ ჩემპიონატებში უკანასკნელი 8 წლის მანძილზე საქართველოს ორ გუნდს ერთბაშად წარმატება არ უზეიმია.

1973 წლის წარმატებები დასაწყისი იყო დიდი გზისა, რომელსაც ქართული ალპინიზმისათვის ძველი ავტორიტეტი უნდა დაებრუნებინა.

მართლაც, 1975 წელს შ. მირიანაშვილის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში ამჯერად იყვნენ: ა. აბაშიძე, ს. ბარლიანი, შ. გაბისიანი, დ. დანგაძე (ასვლის ხელმძღვანელი) და ო. ხაზარაძე, ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსნები გახდნენ. მათ პამირში, მოსკოვის პიკის სამხრეთ თხემზე პირველებმა გაკვალეს ბილიკი.

მომდევნო წელი ქართველი ალპინისტებისათვის არნახულად ნაყოფიერი გამოდგა. 11-წლიანი „შესვენების" შემდეგ ისინი კვლავ ჩემპიონები გახდნენ, თანაც ერთბაშად ორმა გუნდმა იზეიმა ბრწყინვალე გამარჯვება, ერთმა — პამირში, მეორემ — ტიან-შანში. ასეთი რამ ქართული ალპინიზმის ისტორიას არ ახსოვდა.

პამირში საქართველოს ალპური კლუბის გუნდმა ა. აბაშიძის, ს. ბარლიანის, შ. გაბისიანის, დ. დანგაძისა (ასვლის ხელმძღვანელი) და შ. მირიანაშვილის (ექსპედიციის ხელმძღვანელი) შემადგენლობით გაიარა სალრანის ეგრეთ წოდებული დიდი ნალის ტრავერსი.

როცა საკავშირო ჩემპიონატის შედეგები შეაჯამეს, კომპეტენტურმა ჟიურიმ თქვა: „ტრავერსების კლასში წლეულს ყველაზე მეტად გაგვიადვილდა ოქროს მედლების მიკუთვნება".

სპეციალისტთა საერთო აზრით, ასეთი რთული ტრავერსი საბჭოთა ალპინიზმის ისტორიას არ ახსოვდა.

ტიან-შანზე განთიადელები: თ. ბაქანიძე, გ. ზუმბაძე, ტ. ლუკაშვილი, დ. შარაშენიძე (ასვლის ხელმძღვანელი), მ. ჰიჭინაძე და გ. ქართველიშვილი (ექსპედიციის ხელმძღვანელი) მწვერვალ ჯიგიტზე მანამდე გაუვლელი ჩრდილოეთის კედლის დიდი სამკუთხედის ცენტრალური გზით ავიდნენ.

ამ ასვლის შესახებ გაზეთი „იზვესტია" წერდა: „ისინი — სიმაღლეების უშიშარი დამპყრობნი — დასავლეთის კედლით უტევდნენ ჯიგიტის პიკს. გუნდის კაპიტან დ. შარაშენიძის მეთაურობით მთამსვლელებმა უძირო უფსკრულის თავზე თერთმეტი ღამე ჰამაკებში ჩამოკიდებულებმა გაატარეს. საბჭოთა ალპინიზმის ისტორიას არ ახსოვს ასეთი რთული ასვლა".

მომდევნო, 1977 წელს ამ გუნდმა კვლავ გამოიჩინეს თავი, ოღონდ ამჯერად ორივემ ვერცხლის მედლები დაიმსახურა. პირველმა გუნდმა ა. აბაშიძის, ს. ბარლიანის, შ. გაბისიანის, დ. დანგაძის (ექსპედიციის ხელმძღვანელი), შ. მირიანაშვილის (გუნდის კაპიტანი) და ო. ხაზარაძის შემადგენლობით კავკასიონზე ჰიუხების მასივის ტრავერსი განახორციელა და ახლად შემოღებულ კლდოვან კლასში დაიმსახურა ვერცხლის მედლები.

მეორე ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ: თ. ბაქანიძე, რ. გიუტაშვილი, გ. ზუმბაძე, ტ. ლუკაშვილი, ბ. ქართველიშვილი (ექსპედიციის ხელმძღვანელი და გუნდის კაპიტანი) ჯ. ქელეხსაშვილი და დ. შარაშენიძე (გუნდის მწვრთნელი) პამირში ევგენი აბალაკოვის სახელობის პიკზე მანამდე გაუვლელი ჩრდილოეთის კედლით ავიდა და სასიმაღლო ტექნიკურ კლასში მიაღწია წარმატებას.

მომდევნო წელს გ. ქართველიშვილის ჯგუფი პამირში იყო და მყინვარ ზუგვანდის სათავეებთან „ტაჯიკეთის უნივერსიტეტის" პიკს უტევდა, მაგრამ ძლიერი ქვათაცვენის გამო იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო. 1979 წელს ამ ჯგუფმა კვლავ მიიტანა იერიში მწვერვალზე და მიზანსაც მიაღწია. მის მიერ გავლილი კედელი იმდენად გლუვი იყო, რომ მას „სარკეს" უწოდებდნენ. „ზუგვანდის სარკიდან" თ. ბაქანიძემ, რ. გიუტაშვილმა, ი. გელდიაშვილმა, ტ. ლუკაშვილმა და მ. ჰიჭინაძემ, გ. ქართველიშვილის მეთაურობით „ოქრო" ჩამოიტანეს.

ეს ასვლა მართლაც ოქროს ასოებით ჩაიწერა საბჭოთა ალპინიზმის ისტორიაში.

ორიოდე წლის შემდეგ ამ გუნდმა, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ: ტ. ლუკაშვილი, მ. ჰიჭინაძე, ი. გელდიაშვილი, დ. თარხნიშვილი და ჯ. ქელეხსაშვილი, კავკასიონის მწვერვალი კიუკიურტლიუ დალაშქრა და სსრ კავშირის ჩემპიონატში ვერცხლის მედლები მოიპოვა. 1982 წელს მათ (ჯგუფში ტ. ლუკაშვილის ნაცვლად თ. შარაშენიძე იყო) ვერცხლი დაიმსახურეს, ამჯერად ჰიუხების მასივზე, მწვერვალ „დავით აღმაშენებელზე" ასვლისთვის.

და აი, ამ ზაფხულს ამ გუნდმა პამირში, 6100-მეტრიანი უსახელო მწვერვალიდან ბრინჯაო ჩამოიტანა და კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი მაღალი ოსტატობა.

საბჭოთა ალპინიზმის უკანასკნელ ათწლეულში ქართველ მთამსვლელთა მიღწევები ფრიად შთამბეჭდავი იყო. საკავშირო ჩემპიონატებში სხვა რესპუბლიკების წარმომადგენლები ასეთ სტაბილურობას ვერ დაიკვეხნიან.

სამწუხაროდ, ქართველ მთამსვლელთა მიერ მოპოვებულმა „ოქრო-ვერცხლის" ბრწყინვალემა თვალი მოგვჭრა და ყურადღებაც შეგვისუსტა.

ვიმეორებთ, წარმატებები ფრიად თვალსაჩინოა, მაგრამ გაცილებით ბევრი შეიძლებოდა ყოფილიყო, ახალგაზრდა მთამსვლელთა დაოსტატებისათვის რომ მეტი ყურადღება გამოგვეჩინა. მაგალითად, ვერ შევინარჩუნეთ გ. წერედიანის ახალგაზრდული გუნდი, რომელმაც 10 წლის წინათ საკავშირო ჩემპიონატში ვერცხლის მედლები მოიპოვა.

1981 წლიდან, როცა საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეთა ასაკი შეიზღუდა (ამ წლიდან პირველობაზე აღარ უშვებენ მთამსვლელებს, რომლებმაც 40 წელს გადააბიჯეს), აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდა მაღალკვალიფიციური ალპინისტები არც ისე ბევრი გვყოლია და ამიტომ გაჭირდა ორი გუნდის დაკომპლექტება.

და ბოლოს, დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ჯომოლუნგმაზე მოიერიშე ჯგუფში არ იყო ჩვენი რესპუბლიკის არც ერთი წარმომადგენელი. ექსპედიციაში, როგორც კინოოპერატორი, ერთადერთი იყო აკაკი ხერგიანი, რომელმაც ფრიად შეუწყო ხელი გუნდის საერთო წარმატებას, რისთვისაც მას სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიენიჭა.

ნამდვილად გულსატკენია, რომ ქართველ მთამსვლელებს, რომლებმაც საძირკველი ჩაუყარეს საბჭოთა ალპინიზმის ისტორიას, არ მიეცათ შესაძლებლობა, რომ ახდომოდათ დიდი ხნის ოცნება — ჯომოლუნგმაზე ასვლა.

ახლა, თუ ჩვენი წერილების სერიის დასასრულს, რაღაც ნაღველი და გულისტკენა გამოსჭვივის, მხოლოდ იმიტომ, რომ კეთილი სურვილები გვამოძრავებს. ძველი შეცდომები უნდა გავითვალისწინოთ და ყველამ ერთად შევუტიოთ დიდ მწვერვალებს. ამას გვავალებს ქართული ალპინიზმის სახელოვანი ტრადიცია.

ა. გურასაშვილი.
(საქინფორმი).

• • •

ავტორის ფოტო.

დასაბამი...

ეს იყო 1923 წელს... მაშინ ისინი ძალზე ახალგაზრდები იყვნენ. ამბობენ „იმედისა და ოცნების საზღვარი ვის დაუდიაო ჭაბუკთათვის", ჰოდა აკი ვაჟკაცური შემართებით ეახლნენ კავკასიონს, სადაც მხოლოდ ქარი და ღრუბელი დანავარდობს. მყინვართა სივრცეში შეჭრილ მწვერვალზე არწივებივით მონახეს დასაფრენი და პირველი თოვლივით მოკრძალებული, უნივერსიტეტის სალამი გადასცეს ქვეყნის გუმბათებად გადმოხურულ მთებს. ამიტომაც ამაღლდნენ მთელი სამყაროს დასანახავად მწვერვალების სიმაღლემდე და მთამსვლურ მატიანეში პირველამსვლელის საამაყო სახელით დამკვიდრდნენ.

...თანაბრად ახსოვს უნივერსიტეტს ყველაფერი. ქართული საბჭოთა ალპინიზმის დასაბამი თარიღიცა და პირველი ქართული ექსპედიციაც, მისი წინამძღვარი, უნივერსიტეტის პროფესორი გიორგი ნიკოლაძე და მყინვარწვერზე პირველამსვლელნიც, სიკეთესავით დაბედებული მეგზური, მოხევე იაგორა კაზალიკაშვილი და ასვლაში მონაწილე ქალთა გამბედაობით აღტყინებული ხევი...

ეს იყო პირველი საიმედო კვალი ცივი და უკარება მყინვარწვერის კალთებზე, და ქართული ალპინიზმის გარიჟრაჟი.

...მას შემდეგ ბევრს მიესალბუნა ზნემაღალ მწვერვალთა დაპყრობის ალმური, ბევრმა დაუმორჩილა თავისი არსი მთებს სიდიადეს და მის დაუსრულებელ იდუმალებას. მას შემდგ ბევრჯერ სწვევია უნივერსიტეტელთა ალპინიადა დევდორაკისა და კიბის ყინვარებს, ფირნის ველსა და მაილის პლატოს, ხდის ხეობას და მარწყვის ქალას... დღესაც ამჩნევია მათი ძლიერი ნატერფალი იალბუზსა და დიხთაუს, ქაბარჯინასა და ბანგურიანს, ორწვერსა და ბურსაჭირის ჭიუხს, ორთაყარასა და ყუროს... მათი სიმამაცით აღტაცებულმა პამირისა და ტიან-შანის მწვერვალებმაც დალოცეს ქართული მიწის მადლი. იაპონიაში ფუძიამასა და ხოდაკაზე, შვეიცარიის ალპებზეც გაისმა ქართული მრავალჟამიერი.

„რამდენიმე მაინც მოგვბაძავდესო" — ასე უთქვამს იმ პირველი ასვლის დროს გიორგი ნიკოლაძეს და აკი სწორად განსჭვრიტა სახელოვანმა წინამძღვარმა ჩვენი ხალხის სულისკვეთება.

... ვის არ ახსოვს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ოდესღაც ძლიერი ალპინისტური სექცია, რომელსაც ავთანდილ ძიძიგური და დავით სულხანიშვილი მესვეურობდნენ, საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის ალპინისტური სექცია, რომელსაც კოტე ასტახიშვილი ედგა სათავეში, ქუთაისის ალპინისტური სექცია ალიოშა ნემსიწვერიძისა და ლევან ახვლედიანის ხელმძღვანელობით. მსგავსი სექციები ინტენსიურად მუშაობდნენ მესტიასა და ყაზბეგში, ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სახლში და ჭიათურაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ სექციების მესვეურებმა უდიდესი შემართება და პატრიოტული თაოსნობა გამოიჩინეს დიდი სამამულო ომის წლებში. სახელდობრ, მათი ინიციატივით გაჩნდნენ ე. წ. საკვალიფიკაციო ჯგუფები, რომლებიც მიჯრით ლაშქრავდნენ კავკასიონის მწვერვალებს. აღნიშნულ საკვალიფიკაციო ჯგუფებს ხელმძღვანელობდნენ კოტე ასტახიშვილი, გივი მელია, კაკო მარი, დავით ფურცელაძე, ალექსანდრა ჯაფარიძე. გამოჩენილი ქართველი მთამსვლელი ქალის ალექსანდრა ჯაფარიძის წინამძღოლობით თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ჯგუფმა, რომელშიც შედიოდნენ რეზო ნათაძე, ტოლია ქავთარაძე, ტიტე ყანდარელი და ლეილა წითლანაძე, ქართული საბჭოთა ალპინიზმის 25 წლისთავზე დაიპყრეს ხდეს ხეობის უსახელო მწვერვალები.

დიდი სამამულო ომის წლებში უნივერსიტეტის მთამსვლელთა ჯგუფმა მელენტი სანებლიძის, მარინე უთმელიძის, ერეკლე ლუკაშვილისა და სხვათა მონაწილეობით მოახდინეს სპორტული ასვლები მყინვარწვერზე, გალითაუზე, სვეტღარსა და სამსარზე, შხელდასა და მაზერზე.

დღეს რომ უნივერსიტეტში ძლიერი ალპინისტური სექცია მოქმედებს, ამაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ჩვენი ერის სასიქადულო შვილს, უნივერსიტეტის ყოფილ რექტორს, სახელოვან მეცნიერს, აკადემიკოს ნიკო კეცხოველს. მისი რექტორობის პერიოდში, ალპინიზმის ისტორიაში უპირველესი ასვლა განხორციელდა — უშბის ორივე წვერის ტრავერსი, რომელშიაც მონაწილეობდნენ უნივერსიტეტელი მთამსვლელები სპორტის ოსტატები მარინე უთმელიძე, სარგის ცაიშვილი, ჯუმბერ მეძმარიაშვილი, თორნიკე ტატიშვილი. უნივერსიტეტელმა მთამსვლელებმა შოთა და დევი მიქელაძეებმა, დიმიტრი ობოლაძემ, ჯუმბერ მეძმარიაშვილმა და თეიმურაზ კუხიანიძემ, შოთა მირიანაშვილმა, ავი და გიგი აბაშიძეებმა, სერგო ბარლიანმა, რევაზ და ოთარ ხაზარაძეებმა, ლევან ღლონტმა, ზაალ ქიქოძემ, გოგი ზუმბაძემ, დევი და გიორგი თარხნიშვილებმა, ვიქტორ რიბინსკიმ, დათო მეძმარიაშვილმა... პამირისა და ტიან-შანის უმაღლესი და ურთულესი მწვერვალებიც დაიმორჩილეს.

ყველა ასვლაში, რომელიც აღინიშნა ოქროსა და ვერცხლის მედლებით, იყო უნივერსიტეტის მთამსვლელთა წარმომადგენლობა, ხშირად ისინი გუნდში უმრავლესობას შეადგენდნენ. საკავშირო პირველობაზე, სასიმაღლო თუ ტექნიკურ კლასში უნივერსიტეტელთა მიერ აღებულია თერთმეტი ოქროს, ათი ვერცხლისა და რვა ბრინჯაოს მედალი.

...უნივერსიტეტში დაიწყო ქართული ალპინიზმის აკვანი, უნივერსიტეტია მასობრივი ალპინიადებისა და სპორტული ასვლების ჩატარების დიდი მოთავე. უნივერსიტეტის მთამსვლელთა დიდი წვლილიცაა მთამსვლური მატიანის ლამაზი თავფურცლის გადაშლაში...

ლილი გვარჯალაძე.
(„ლელო" კორ.).

• • •

სურათზე: უნივერსიტეტის მთამსვლელები კავკასიონის ქედზე.

GENS UNA SUMUS

მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩები

●

მწვავე პოზიციაში

გ. კასპაროვი — ვ. კორჩნოის მატჩის მეოთხე პარტია, რომელიც 27 ნოემბერს გაიმართა, დაუმთავრებელი დარჩა. გადაიდო ეტლების მწვავე, მაგრამ თანაბარ დაბოლოებაში.

ამ შეხვედრაში გათამაშდა კატალონური დასაწყისი. კასპაროვს პირველად მოუხდა თამაში ამ სადებიუტო სისტემის წინააღმდეგ. 21-ე სვლაზე კორჩნოიმ ლაზიერები გაცვალა და პარტია ენდშპილში გადაიყვანა. თითოეულ მხარეს ორ-ორი ეტლი და თითო მხედარი დარჩა. შემდგომ მანევრულ თამაშში დიდოსტატებმა თითო ეტლი და მხედრები გაცვალეს. პარტია ეტლების დაბოლოებაში გაგრძელდა.

41-ე სვლაზე თამაშისთვის განკუთვნილი დრო ამოიწურა და პარტია გადაიდო. სპეციალისტების აზრით, შეწყვეტილ პოზიციაში ყველაზე უფრო მოსალოდნელია ყაიმი.

აი, ამ პარტიის მსვლელობა.

კორჩნოი — კასპაროვი

კატალონური დასაწყისი

1. d4 d5 2. c4 e6 3. მf3 მf6 4. g3 კe7 5. კg2 0–0 6. 0–0 d×c4 7. ლc2 a6 8. ლ×c4 b5 9. ლc2 კb7 10. კd2 კe4 11. ლc1 მc6 12. კe3 მb4 13. მbd2 კb7 14. კg5 ეc8 15. a3 მbd5 16. მb3 h6 17. მa5 კa8 18. მc6 კ×c6 19. კ×f6 კb7 20. კ×e7 ლ×e7 21. ლc5 ლ×c5 22. d×c5 მe7 23. a4 b4 24. მd4 კ×g2 25. მფ×g2 ეfd8 26. ეfd1 ეd5 27. მc2 ეb8 28. ე×d5 მ×d5 29. მd4 მe7 30. ეd1 მფf8 31. მb3 მc6 32. f4 მფe7 33. მფf3 g6 34. ეd2 f6 35. მფe4 f5+ 36. მფd3 e5 37. e4 მფe6 38. მფe3 e×f4+ 39. g×f4 g5 40. მd4+ მ×d4 41. ე×d4.

პარტია გადაიდო. 41-ე სვლა ჩაიწერა კასპაროვმა.

გუშინ მეტოქენი თამაშის განუახლებლად ყაიმზე შეთანხმდნენ.

იოსელიანი—სემიონოვა

მეექვსე პარტია

26 ნოემბერს დაგომისში შედგა ნ. იოსელიან — ლ. სემიონოვას მატჩის მეექვსე პარტია, რომელშიც თეთრებით კიევის დიდოსტატი თამაშობდა.

სემიონოვამ მეტოქეს მწვავე იტალიური დასაწყისი შესთავაზა, მაგრამ იოსელიანმა თამაში უნგრულ პარტიაში გადაიყვანა. საქმე ისაა, ამ სადებიუტო სისტემაში არ არის ფარსირებული ვარიანტები და ბრძოლა პოზიციურ ხასიათს ატარებს.

სემიონოვამ, როგორც კი დაამთავრა ფიგურების განვითარება, იერიშის მომზადება დაიწყო. თეთრებს ალბათ სხვაგვარად უნდა გამოეყენებინათ ლაზიერის ფრთის შავი პაიკების სისუსტე. როცა სემიონოვამ პაიკები დაძრა, იოსელიანმა საიმედოდ დაამუხრუჭა მისი ცენტრალური პაიკი და უპირატესობაც მიიღო.

როგორც ჩანს, სემიონოვამ სწორად ვერ შეაფასა შექმნილი სიტუაცია. ეტლების მცდარი გაცვლის შემდეგ იგი უპაიკოდ დარჩა. ლაზიერების გაცვლის შემდეგ კი პარტია გადაიდო:

იოსელიანი



სემიონოვა

ამ პოზიციაში 41-ე სვლა ჩაიწერა იოსელიანმა. 27 ნოემბერს თამაში განახლდა. იოსელიანმა მოგების მარტივ და ლოგიკურ გზას მიაგნო. დაფის კიდეზე შექმნა ძლიერი გამსვლელი პაიკი, რომელმაც გადაწყვიტა კიდეც შეხვედრის ბედი. დიდი მატერიალური ზარალის გამო სემიონოვა დანებდა.

აი, ეს პარტია:

სემიონოვა — იოსელიანი

უნგრული პარტია

1. e4 e5 2. მf3 მc5 3. კc4 d6 4. d4 e×d4 5. მ×d4 მf6 6. მ×c6 b×c6 7. მc3 კe7 8. 0–0 0–0 9. კf4 მd7 10. კg3 ეb8 11. ეb1 კf6 12. ლd2 ეe8 13. ეe1 ლe7 14. f4 მc5 15. e5 d×e5 16. f×e5 კg5 17. ლf2 კe6 18. კ×e6 მ×e6 19. მe4 c5 20. c3 ეbd8 21. ეbd1 ე×d1 22. ე×d1 ეd8 23. ე×d8+ ლ×d8 24. h4 კe7 25. b3 ლd3 26. ლe1 ლc2 27. მფh2 h6 28. მf2 ლ×a2 29. ლd1 c4 30. b4 ლb3 31. ლd7 კf8 32. მe4 ლc2 33. ლd5 ლd3 34. ლ×d3 c×d3 35. მფg1 c5 36. b5 c4 37. მფf2 მc5 38. მd2 მa4 39. მb1 კc5+ 40. მფf3 მფf8 41. მფe4 d2 (ჩაწერილი სვლა) 42. მ×d2 მ×c3+ 43. მფf3 მ×b5 44. მ×c4 კb4 45. მფe4 a5 46. მb6 მc3+ 47. მფd3 a4 48. მc4 მb5 49. მფc2 a3 50 მფb3 მფe7 51. მe3 მd4+ 52. მფa2 მფe6 53. კf2 მფ×e5 54. მc4+ მფe4 55. მ×a3 კ×a3 56. მფ×a3 h5 57. მფb4 მf5 58. მფc3 მe3 59. მფd2 მ×g2 60. მფe2 მფf4 61. მფf1 მფf3 62. მფg1 მf4 63. კe1 მg6 64. კc3 f6 65. მფh2 მფg4 66. კb4 მ×h4 67. კc5 f5 68. კb6 f4 69. კa7 g5 70. კb6 მფf5. თეთრები დანებდნენ.

ამ გამარჯვებით იოსელიანმა გაათანაბრა ანგარიში — 3:3.

გუშინ...

დაგომისში იოსელიანი — სემიონოვას მატჩში გათამაშდა მეშვიდე პარტია, რომელიც 41-ე სვლაზე გადაიდო იოსელიანის უპირატესობით. ანგარიშია კვლავ 3:3.

დუბნაში ალექსანდრია — ლევიტინას მატჩშიც მეშვიდე პარტია შედგა, ქართველმა დიდოსტატმა წარმატებით ითამაშა და გაიმარჯვა. ანგარიში გახდა 4:3 ნ. ალექსანდრიას სასარგებლოდ.

ყაიმი მე-16 სვლაზე

26 ნოემბერს ლონდონში შედგა ვ. სმისლოვ — ზ. რიბლის მატჩის მესამე პარტია.

ლაზიერის პაიკთა დებიუტს რთული თამაში მოჰყვა. იგი განსაკუთრებით დაიძაბა, როცა რიბლიმ მხედარი შესწირა (სმისლოვს არ შეეძლო მისი აღება ლაზიერის დაკარგვის გამო). სწორედ ამ მწვავე პოზიციაში, მე-16 სვლაზე დიდოსტატები დაზავდნენ.

აი, ამ პარტიის მსვლელობა.

სმისლოვი — რიბლი

ლაზიერის პაიკთა დებიუტი

1. d4 მf6 2. მf3 e6 3. e3 c5 4. კd3 მc6 5. 0–0 კe7 6. b3 b6 7. a3 კb7 8. კb2 ეc8 9. მbd2 0–0 10. ლe2 ეe8 11. ეad1 კf8 12. d×c5 b×c5 13. მg5 e5 14. c4 მd4 15. ლe1 ლb6 16. f4 e4. ყაიმი.

მატჩის ანგარიშია 1,5:1,5. გუშინ მატჩზე გათამაშდა მეოთხე პარტია.



გრძელ ტურნირებს ანგარიში უყვარს

დასასრული

უკვე დაიმსახურეს საქებარი სიტყვა.

ერთობ საჭირო ქულა მოიპოვეს გუშინწინდელ, უაღრესად მძიმე ორთაბრძოლაში თბილისელმა კალათბურთელებმა.

პირველი ტაიმი მასპინძლებმა, მართალია, 5 ქულის სხვაობით მოიგეს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მთელი ოცი წუთის მანძილზე ასე თუ ისე ხელსახები უპირატესობის მოპოვება ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო. „ფრე" აღინიშნა ცენტრალური თავდამსხმელების — დერიუგინისა და ბელოსტენის დუელშიც. შესაძლოა მცირე უპირატესობა სტუმრის მხარეს იყო.

მატჩის ბედი მეორე ტაიმში, უფრო ზუსტად კი ორი „ცენტრის" ბრძოლაში გადაწყდა. დერიუგინმა შეხვედრის ბოლო წუთები ძალზე ძლიერად ჩაატარა, რასაც ვერ ვიტყვით ბელოსტენიზე.

რა თქმა უნდა, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ გუნდის სხვა წევრები სტატისტთა როლში იყვნენ. ძალზე კარგად ითამაშეს კაპუსტინმა (19 ქულა), დარსაძემ (8), მილოვიდოვმა (14), გურასპაულმა (7) და ბოროდაჩოვმა (9). თავი არ დაუზოგავს ლიპარტელიანს.

და ბოლოს, ამ მშვენიერ გამარჯვებასა და თავდადებულ თამაშს მაინც აედევნა ჩრდილი. ბუნებრივია, მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ გუნდის არც ერთ წევრს უფლება არა აქვს მოედანზე ეკინკლაოს თანაგუნდელს, მით უმეტეს მაშინ, იმ სიტუაციაში, როცა მატჩის ბედს სპორტსმენთა ურთიერთთანხმობა, გამტანობა წყვეტს. მაინც მგონია, რომ ეს, ფაქტიურად არაფრისგან წარმოქმნილი ინციდენტი შემთხვევითი იყო და გუნდის ცხოვრებაში გამონაკლისადაც დარჩება.

ი. ბერიაშვილი.

* * *

თბილისის სპორტის სასახლე. 26 ნოემბერი.

„დინამო" (თბილისი) — „ჟალგირისი" (კაუნასი) 63:114 (30:58)

„დინამო": კაპუსტინი (2), ბოროდაჩოვი (9), ჯომარჯიშვილი (3), გურასპაული (2), დარსაძე (4), მარჩენკო (6), დერიუგინი (10), მილოვიდოვი (14), გიორგობიანი (5), ლიპარტელიანი (8), ბალათურია.

„ჟალგირისი": ბრაზისი (6), არლაუსკასი (4), მასალსკისი (12), ჩივილისი (10), ლეკარაუსკასი (12), კრაპიკასი (5), კურტინაიტისი (8), საბონისი (21), იანკაუსკასი (8), ხომიჩუსი (10), ვალიკონისი (4), იოვაიშა (14)

მსაჯები: ბ. ცარიკოვი (გომელი) და ვ. ხუურკასი (ტალინი).

თბილისი, სპორტის სასახლე, 27 ნოემბერი.

„დინამო" (თბილისი) — „სტროიტელი" (კიევი) 80:79 (39:34).

„დინამო": კაპუსტინი (19), ბოროდაჩოვი (9), გურასპაული (7), დარსაძე (8), დერიუგინი (23), მილოვიდოვი (14), ლიპარტელიანი.

„სტროიტელი": ვოლკოვი (9), კოლეშჩუკი (6), შაპტალა (8), რიჟიკი (10), სილვერსტოვი (12), რიჟოვი (10), ბელოსტენი (24).

მსაჯები: ვ. ლიმაევი (ბაქო) და მ. ბერნადსი (ლიეპაია).

* * *

კვირას გაიმართა კიდევ ორი მატჩი. ცსკა-მ ანგარიშით 97:74 (38:34), დაამარცხა კიევის ასკ, კაუნასის „ჟალგირისმა"—ტაშკენტის უნივერსიტეტი—119:93 (52:48).

გუშინ...

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა უძლიერესთა ექვსეულის მესამე წრის შეხვედრები. თბილისის „დინამოსა" და ცსკა-ს მატჩი დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით — 108:80 (50:36), „ჟალგირისმა" დაამარცხა „სტროიტელი" 85:74 (39:40), კიევის ასკ-მ— „უნივერსიტეტი" 118:90 (55:44).

დღეისათვის სატურნირო მდგომარეობა ასეთია: „ჟალგირისი" — 7 ქულა, ცსკა — 6, „დინამო" —4, „სტროიტელი" — 4, უნივერსიტეტი — 2, ასკ — 1.

● ჭადრაკი

კიდევ ორი ტური

ვილნიუსში, სსრ კავშირის ქალთა 43-ე ჩემპიონატზე კიდევ ორი (VII, VIII) ტურის შეხვედრები გაიმართა.

VII ტურში ნ. გურიელმა დაამარცხა ნ. რუჩიევა (სევასტოპოლი), ც. კახაბრიშვილმა — რ. ეიდელსონი (ვიტებსკი). გადაიდო რამდენიმე პარტია, მათ შორის ი. ოსტრიის (ფრუნზე) — ნ. გაფრინდაშვილისა და ე. ახმილოვსკაია — მ. ლიტინსკაიას (ლვოვი) შეხვედრები.

VIII ტურში გაფრინდაშვილმა ფარ-ხმალი დააყრევინა ლიტინსკაიას, კახაბრიშვილმა — ა. ახშარუმოვას (მოსკოვი), თ. ხუგაშვილმა — ტ. ზატულოვსკაიას (მოსკოვი), ლ. მუჩნიკმა (ნიკოლაევი) — ს. მატვეევას (ფრუნზე) და ეიდელსონმა — ლ. ზაიცევას (მოსკოვი).

8 ტურის შემდეგ ნ. გურიელს 6 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს, ნ. გაფრინდაშვილს —5,5 (1), ლ. მუჩნიკს — 4,5 (1), რ. ეიდელსონს — 4,5, მ. ლიტინსკაიას — 4 (1), ც. კახაბრიშვილს — 4.

ფეხბურთი-83 ფეხბურთი-83 ფეხბურთი-83 ფეხბურთი-83 ფეხბურთი-83

საქართველოს ჩემპიონატი

მახარაძე (ჩვენი სპეც. კორ.). დასასრულს უახლოვდება რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალური ტურნირი. ბოლოსწინა ტურში ლიდერებმა მორიგი გამარჯვებები მოიპოვეს: წყალტუბოს „სამგურალმა" ანგარიშით 3:1 დაამარცხა რუსთავის „მეტალურგი", ხოლო ვანის „სულორმა" მოუგო თელავის „კახეთს" — 1:0. ლაგოდეხის „ჰერეთისა" და ზუგდიდის „დინამოს" შეხვედრა დამთავრდა „ჰერეთის" გამარჯვებით — 3:0.

ბოლო ტურის წინ სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სამგურალი"	4	3	1	0	11-4	7
„სულორი"	4	2	2	0	6-4	6
„კახეთი"	4	1	2	1	3-2	4
„ჰერეთი"	4	1	1	2	3-6	3
„მეტალურგი"	4	0	3	1	2-4	3
„დინამო"	4	0	1	3	3-8	1

30 ნოემბერს გაიმართება გათამაშების ბოლო ტურის შეხვედრები. ერთმანეთს ხვდებიან: „სამგურალი" (წყალტუბო) — „კახეთი" (თელავი), „სულორი" (ვანი) — „ჰერეთი" (ლაგოდეხი), „დინამო" (ზუგდიდი) — „მეტალურგი" (რუსთავი).

„გადასასვლელის" თასზე

სოჭისა და ადლერის სტადიონებზე დამთავრდა შეხვედრები წინასწარ ჯგუფებში ახალგაზრდა ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშება „გადასასვლელის" თასზე.

IV ჯგუფში გაიმართა 2 მატჩი. ლიდერებმა — მოლდაველმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 1:0 დაამარცხეს ლენინგრადის გუნდი, ხოლო ტაჯიკეთის ნაკრებმა — ლატვიის გუნდი — 1:0. საქართველოს ფეხბურთელები ბოლო ტურში არ თამაშობდნენ, მათ მხოლოდ 4 ქულა დააგროვეს და ნახევარფინალში ვერ გავიდნენ.

„ტორპედო" უცხოეთში

კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში, როგორც ვიტყობინებოდით, სტუმრად იმყოფება ქუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთელთა გუნდი.

ტორპედოელებმა ქ. ხამხინში ანგარიშით 0:1 წააგეს ადგილობრივ „პოტხონგანთან", შემდეგ იქვე შეხვდნენ ხამგენ-ნამდოს პროვინციის ნაკრებს და ფრედ დაამთავრეს მატჩი — 2:2 (ტორპედოელთაგან ბურთები გაიტანეს კორღალიძემ და ჭიაბრიშვილმა).

შემდგომი შეხვედრა ქუთაისელმა ფეხბურთელებმა ქ. ჩხონჯინში გამართეს ხამგენ-პუქტოს პროვინციის ნაკრებთან და გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0. ბურთი გაიტანა თავაძემ.

ტორპედოელებს ბოლო მატჩი გუშინ ჰქონდათ ფხენიანში.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო" ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე — 07952